საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
2008 წლის 4 აპრილის № 189/9 გადაწყვეტილების საფუძველზე
წარმოგიდგენთ *შპს „ივერია ქსელის“* საკუთარი ქსელის
საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და
ურთიერთჩართვის სატელეფონო ზარების (წამოწყება/დასრულება)
მომსახურების

შეთავაზების წინადადებას
(მოწვევა ოფერტაზე)

1. გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.ა. ქვეპუნქტის თანახმად:
ურთიერთჩართვის მომსახურების მიწოდების სატელეფონო სადგურის ინდექსი და მისამართი:

ასს–5 ქ. ზუგდიდი, კოსტავას ქ. № 5ა

2. გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.ბ. ქვეპუნქტის თანახმად:
ა) ფიქსირებული საკომუტაციო ქსელებით საქმიანობის საბითუმო მომსახურების ბაზარზე ფიქსირებული და მოძრავი საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და სატელეფონო ***ზარის წამოწყების მომსახურების ტარიფი 4 თეთრი/წუთი დღგ-ს ჩათვლით;***
ფიქსირებული საკომუტაციო ქსელებით საქმიანობის საბითუმო მომსახურების ბაზარზე ფიქსირებული და მოძრავი საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და სატელეფონო ***ზარის დასრულების მომსახურების ტარიფი 4 თეთრი/წუთი დღგ-ს ჩათვლით;***

3. გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.გ. ქვეპუნქტის თანახმად:
ა.გ) *ურთიერთანგარიშსწორება* განხორციელდება საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვამდე, წარმოადგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

4. გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.დ. ქვეპუნქტის თანახმად:

ქსელში ურთიერთჩართვის მსურველმა ოპერატორმა უნდა წარმოადგინოს *განაცხადი* რომელიც უნდა შეიცავდეს: ა) მსურველი ოპერატორის ურთიერთჩართვის ტექნიკურ პროექტს, ურთიერთჩართვის სისტემის და ქსელის გეგმით; ბ) ტრაფიკის მარშრუტს; გ) ტრაფიკის წინასწარ შეფასებას; დ) გამოყენებულ ინტერფრეისებს;
შპს „ივერია ქსელის“ განცხადების რეგისტრაციიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში მოახდენს პარამეტრების ტესტირებას;

5. გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.ვ. და ა.კ. ქვეპუნქტების თანახმად:
მსურველი აქცეპტანტის მიერ წარმოდგენილი განაცხადის და გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.დ. ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროცედურების გავლის შემდეგ მხარებს შორის მსურველი აქცეპტანტი პირის მიერ აქცეპტის წარდგენიდან *20 კალენდარული დღის ვადაში ფორმდება ურთიერთჩართვის ხელშეკრულება და შესაბამისად ქსელში ჩართვა.*

6. გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.ზ. ქვეპუნქტის თანახმად:
ურთიერთჩართული ოპერტორების მომსახურე *ტექნიკური პერსონალის დაშვება მოხდება მხოლოდ წინასარ შეთანხმებული სიის მიხედვით.*
„ახალ ქსელების" თავისუფალი თანალოკაციის ფართი არ გააჩნია.

7. გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.თ. ქვეპუნქტის თანახმად:
დამატებითი სიმძლავრეების დამატება (თუ ამის საშუალება არსებობს) განხორციელებულ იქება (10) დღის ვადაში მას შემდეგ რაც მსურველი აქცეპტორი ყოველ კონკრეტულ შემთხვევში მოგვმართავს წერილობით, რომელიც განხილულ იქნება ათი (10) დღის ვადაში და რომელზეც გაცემულ იქნება დადებითი დასკვნა.

8. გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის ა.ი. ქვეპუნქტის თანახმად, *ექსტრაორდინალურ და ფორსმაჟორულ გარემოებებში* მსურველი ოპერატორის მხრიდან გამოწვეული ზარალი ანაზღაურდება მის მიერ სრულად.

9. მოწვევის *ოფერტა მოქმედებს 6 თვიანი ვადით.*

10. ოფერტა ძალაში შედის ეროვნული კომისიის ვებ გვერდზე გამოქვეყნების დღიდან.

შპს „ივერია ქსელის"
გენერალური დირექტორი *გ. შეროზია*